სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

812785963359 23

საქართველო

სანოტარო მოქმედების დასახელება

იურიდიული პირის მიერ მინდობილობის/რწმუნებულების დადასტურება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N231202502

რეგისტრაციის თარიღი

04.09.2023 წ

ნოტარიუსი: მაია წიკლაური
მისამართი: ქ. თბილისი წერეთლის 55
ტელეფონი: 2 35-21-19

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

სანოტარო აქტი

ორიათას ოცდასამი წლის ოთხ სექტემბერს მე, ნოტარიუსს მაია წიკლაურს, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: საქართველო, ქ. თბილისი აკ. წერეთლის გამზ. N55, მომმართა მოქალაქე **მადონა ხასაიამ,** განაცხადა, რომ არის შპს „კონსტრუქშენ გრუპი 2030"-ის, შემდგომში „მარწმუნებლად" წოდებულის დირექტორი, და მოითხოვა მინდობილობის ტექსტის შედგენა და სანოტარო წესით დადასტურება. მე დავადგინე მარწმუნებლის უფლებამოსილება /თანახმად ამონაწერის მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან, განაცხადის რეგისტრაციის ნომერი: B23075764, მონაწერის მომზადების თარიღი 30/05/2023 11:20:09, ს/ნ 405523955, იურიდიული მისამართი: საქართველო, თბილისი, საბურთალოს რაიონი, სოფელი დიღომი, ვეფხისტყაოსანის ქუჩა, N 26ა, რეგისტრაციის თარიღი 11/04/2022/, პირადობა, ნების გამოხატვის ნამდვილობა, ქმედუნარიანობაში ეჭვი არ შემპარვია და ვინაიდან ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა, დავადასტურე სანოტარო აქტი. მას ასევე განვუმარტე, რომ: ამ აქტით წარმომადგენლობითი უფლებამოსილება ქარწყლდება ვადის გასვლით, უფლებამოსილი პირის უარით, უფლებამოსილების გამცემი პირის გარდაცვალებით, უფლებამოსილების გაუქმებით გამცემი პირის მიერ, უფლებამოსილების შესრულებით. მარწმუნებელმა წაიკითხა მინდობილობა, მკაფიოდ და ნათლად განაცხადა, რომ მინდობილობა ზუსტად გამოხატავს მის ნებას და ჩემი, ნოტარიუსის თანდასწრებით მოაწერა ხელი.

მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

ორიათას ოცდასამი წლის ოთხ სექტემბერს მე, ქვემორე ხელისმომწერი, **მადონა ხასაია,** დაბადებული 20.07.1967 წელს წალენჯიხაში, რეგისტრირებული: სოხუმი, ს. შრომაში, ფაქტიურად მცხოვრები თბილისი, გლდანი, I მ/რ, კორ. 2, ბ. 68-ში, პ/ნ 62003012113, რომლის პირადობა დადგენილია წარმოდგენილი საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობით 15ID42083, გაცემული 04.07.2016 წელს იუსტიციის სამინისტროს მიერ, როგორც შპს „კონსტრუქშენ გრუპი 2030"-ის (ს/ნ 405523955), შემდგომში მარწმუნებლად წოდებულის დირექტორი, ამ მინდობილობით სრულ უფლებას ვაძლევ **კონსტანტინე დგებუაძეს,** დაბადებულს 15.12.1977 წელს, პ/ნ 01017002402, შემდგომში "რწმუნებულად" წოდებულს, იყოს ჩემი, როგორც შპს-ს დირექტორის სრულუფლებიანი წარმომადგენელი ყველა დაწესებულება ორგანიზაციაში, ადმინისტრაციულ ორგანოებში, ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან, თვითმმართველობის ორგანოებში, მერიაში და მის დაქვემდებარებაში არსებულ სამსახურებში, სააგენტოებსა და სსიპ-ში, მათ შორის არქიტექტურის სამსახურში, ზედამხედველობის სამსახურში, მერიის იურიდიულ სამსახურში, გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურში, ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების საქალაქო სააგენტოში, სსიპ იუსტიციის სახლში, სსიპ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, საპატრულო პოლიციაში, სანოტარო ბიუროში, არქივებში, საამზომველო კომპანიებში, ნებისმიერ ბანკში და სხვა, გამოითხოვოს, მიიღოს, ჩაიბაროს ნებისმიერი სახის წერილობითი დოკუმენტაცია, უზრუნველყოს **უძრავ ქონებაზე, მდებარე მისამართზე: ქალაქი თბილისი , ქუჩა ლერწამი , მიმდებარე ტერიტორია საკადასტრო კოდი 01.17.14.003.845,** პარამეტრების, მშენებლობის კლასის დადგენა/განსაზღვრა, აზომვითი ნახაზების შესრულება, არქიტექტურული პროექტის მომზადება/შეთანხმება, შეთანხმებული პროექტის ცვლილება/კორექტირება, პროექტის შეთანხმების, ცვლილების, ნებართვების მოპოვების მიზნით საჭირო ყველა მოქმედების განხორციელება, მარწმუნებლის სახელით ყველა შესაბამის ორგანოში საჭირო დოკუმენტების, განაცხადის შეტანა, გამოთხოვა, ინფორმაციის მიღება, ელექტრონული ხელმოწერის განხორციელება შესაბამის განაცხადზე, მომზადებული დოკუმენტაციის ატვირთვა მერიის ელექტრონულ საიტზე, მიიღოს ნებისმიერი სახის ნებართვა/თანხმობა (მათ შორის სამშენებლო, სარეკონსტრუქციო, სადემონტაჟო და სხვა სახის სამუშაოებთან დაკავშირებით), საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოს ხარვეზების გასწორება, ცვლილებების (მათ შორის რეგისტრირებულ მონაცემებში ცვლილებების) რეგისტრაცია, მშენებლობის ნებართვის ვადის გაგრძელება, საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემის შეთანხმება და სხვა, შეუზღუდავად აწარმოოს ჩემი სახელით საქმეები, შეაგროვოს, წარადგინოს და მიიღოს ცნობები, დოკუმენტები,

ამონაწერები, ნახაზები, პროექტები, ფოტომონტაჟი, ნებართვები, ტექნიკური პირობები და სხვა, გადაიხადოს მოსაკრებლები, შეიტანოს ნებისმიერი სახის განცხადება და შეუზღუდავად მოაწეროს ჩემი სახელით ხელი საჭიროებისამებრ სათანადო დოკუმენტებს.

რწმუნებული უფლებამოსილია შეასრულოს ყველა მოქმედება და ფორმალობა, რაც პირდაპირ მითითებულია ან არ არის მითითებული ამ მინდობილობაში, მაგრამ სავალდებულოა ამ მინდობილობით დადგენილი დავალების შესასრულებლად.

რწმუნებულის მიერ შესრულებული მოქმედებები და მიღებული გადაწყვეტილებები ამ მინდობილობით განსაზღვრული უფლებამოსილების ფარგლებში ჩემს მიერ იქნება მოწონებული და უდაო.

მინდობილობა გაცემულია განსაზღვრული ვადით და ძალაშია ორიათას ოცდაოთხი წლის ოთხ სექტემბრის ჩათვლით.

მინდობილობა შედგენილია სამ თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ინახება სანოტარო ბიუროს არქივში, ხოლო დანარჩენი გადაეცა მარწმუნებელს ხელზე.

გადახდილია საზღაური თანახმად საქართველოს მთავრობის დადგენილების N507, 29.12.2011წ. „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ" მუხლი 39, პუნქტი 1-ით 5 ლარი, მუხლი 31, პუნქტი 8-ით 30 ლარი, საქართველოს საგადასახადო კოდექსის მუხლი 166-ით (დღგ) – 5 ლ 40 თ, სულ 40 ლ 40 თ.

მინდობილობის იმ ეგზემპლარს, რომელიც ინახება სანოტარო ბიუროს არქივში, დანართად ერთვის ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან, განაცხადის რეგისტრაციის ნომერი: B23075764, მონაწერის მომზადების თარიღი 30/05/2023 11:20:09 /ელექტრონული ასლი/, მინდობილობის დადასტურებისას გამოყენებული დოკუმენტები: სადამფუძნებლო შეთანხმება /ელექტრონული ასლი/, და ოქმი კრების მიმდინარეობისა და გადაწყვეტილების მიღების შესახებ, რეესტრით #230698041, შედგენილი და დამოწმებული ნოტარიუსის მ. წიკლაურის მიერ 30.05.2023წ. ინახება სანოტარო ბიუროს არქივში (ოქმი კრების მიმდინარეობისა და გადაწყვეტილების მიღების შესახებ, რეესტრით #230698041, შედგენილი და დამოწმებული ნოტარიუსის მ. წიკლაურის მიერ 30.05.2023წ.); ხოლო საქართველოს იუსტიციის მინისტრის მიერ დამტკიცებული შპს-ს სტანდარტული წესდება ინახება ელექტრონული სახით ვებგვერდზე https://napr.gov.ge.

[illegible]

ნოტარიუსი